

8
1960



—დაღა ისე მეზატეზა,
თიქოს ვხეღი ვრთი—ასი.
ტვზს მიკრავენ, ვინღა მკადრებს.
— კაპოკია შენი ფასი!

№ 11

თბილისი ივნისი

1960

საბჭო

გაზრტევის XXXVIII ჟღლი, ფაღნი 2 ზღნი.

ნღნი. ჯ ლოღღუაზი

ორი თვის წინათ უკანასკნელად ელნათურამ უკანასკნელად ჩამიკრა თვალი და სამუდამოდ დამემშვიდობა. ვინ მოთვლის რამდენჯერ შემოვიარე თბილისის მალაზიები და ბაზრები, მაგრამ, რომ იტყვიან, სანთლითაც ვერსად აღმოვაჩინე ქალაქის—127 ვოლტი ძაბვის ელნათურები და დროებით სანთლებს მივანდე ოთახის განათება.

ყველგან, სადაც არ მივედი, 220 ვოლტი ძაბვის ელნათურები შემომთავაზეს. ერთ-ერთ მალაზიაში მადლიანმა გამყიდველმა ისიც კი მიჩჩია, რომ რაიონში წავსულიყავი ქალაქის ელნათურების შესაძენად. — რა გიჭირს, — მეუბნებოდა იგი, — სოფლები აქ ჩამოდიან ელნათურების შესაძენად, სამაგიეროდ, შენ იქ წადი და ბარიბარად იქნებითო.

ჯერჯერობით არ მომიყვანია სისრულეში მისი რჩევა, მაგრამ, ვატყობ, რომ დიდხანს ვერ გავუძლებ ცოლის წყევლას, რომელიც გაცილებით მეტი ძაბვით მიტყყამს თავში, ვიდრე ჩემი სანუკვარი 127 ვოლტი ძაბვის ელნათურის ძალაა. ჩემი მეუღლის წყევლა-კრულვის ლექსიკონში უკვე პრაქტიკულად დამეკვიდრდა გამოთქმები: — დაგეფსოს თვალები ჩვენი ელნათურივით, დაგწვას მამა ზეციერმა ჩვენი „ლამპოჩკასავით“ და მრავალი სხვა ასეთი „საალერსო“ სიტყვა.

სალამობაში, როცა სახლში გბრუნდები, მალაზიებში ამო ხეტილის შემდეგ, დამნაშავე ბავშვივით გასუსული ვუსმენ ცოლის მორიგ „ლოცვა-კურთხევას“ და თან ვფიქრობ: — ხომ არ შეიძლება, სანამდე სავაჭრო დარგის მუშაკები ელნათურების განაწილებას ისე მოახერხებდნენ, რომ რაიონის (როგორც პრაქტიკულად უწოდებენ) ელნათურები რაიონში იგზავნებოდეს, ხოლო ქალაქისა — ქალაქის მალაზიებში, დროებით გამოშვებულ იქნას ისეთი ელნათურები, რომლებსაც ექნებათ სპეციალური მოწყობილობა ერთი ვოლტი ძაბვიდან მეორე ვოლტი ძაბვამდე გადასაყვანად. მაშინ სოფლებიც კმაყოფილი იქნებიან და ქალაქელებსაც აღარაფერი გვიქნება სასაყვედურო.

ნ. ნუკრიძე

ჩემი ოჯახის ყველა წევრი ერთხმად ითვლება აქტიურ ტელემყურებლად. ეს «ითვლება», რასაკვირველია, პირობითად უნდა მივიღოთ და ასევე უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს საკითხი ძირითადად ერთი კეთილი მეზობლის ხარჯზე ხდება. სწორედ იმ მეზობლის ხარჯზე, რომელმაც ამ უკანასკნელ ხანს ფსიქონერვიულ ინსტიტუტში დაიწყო სიარული და, არის საჭირო თუ არ არის, ერთთავად გაიძახის: «მოდიან, ყველანი ჩვენსა მოდიან, მიშველეთ კარი დაკეტეთ!...»

ჯერ კიდევ შარშანწინ გადავწყვიტე ტელემიმღების შექმნა. შემოვიარე მალაზიები, საწყობები, ასე გასინჯეთ, ვიტრინებიც კი არ დამიტოვებია დაუთვალეირებელი, მაგრამ ტელემიმღები ლატარიისათვის განკუთვნილ იშვიათ საქონელთა გვერდითაც ვერ აღმოვაჩინე. ბოლოს ერთი მალაზიის საწყობში წავაწყდი საოცნებო საგანს, ტელემიმღებ «ტემბ-3»-ს.

— მიშველეთ, სასწრაფოდ გამომიწერეთ! — საწყობში შესვლისთანავე წამოვიძახე მე.

— ვერც გიშველეთ და ვერც გამოგიწერთ! — წამოძახებისთანავე მიპასუხეს მათ.

— მე ამ სავაჭრო ორგანიზაციის უფროსს ვიცი. ისიც მიცნობს.

— სწორედ მაგ ნაცნობობამ დალუბა ჩვენი ყოფილი უფროსი.

— საქონელი გაქვთ. მოყიდვამდე უარს მეუბნებით, ეს სავაჭრო წესების დამახინჯებაა.

— არაფერია, — მომიგეს მათ, — აქ რომ ტელემიმღების მწკრივს ხედავთ, დაწესებულებებისთვისაა განკუთვნილი. გადმორიცხეთ ფული და ინებეთ.

მაშინაც ვითვლებოდი ერთი დაწესებულების ხელმძღვანელად. მიყვარს და მიყვარდა ჩემდამი დაქვემდებარებული დაწესებულება და აბა, უტელემიმღებოდ როგორ დაგტოვებდი! მეორე დღესვე გაჩნდა ჩემი კაბინეტის კუთხეში ნანატრი «ტემბ-3».

პავლოვის ქუჩის № 2 საცხოვრებელი სახლის სარდაფში მუხლამდე დგას წყალი.

ნახ. ზ. ნიუარაძისა



— ისე მიყვარხარ, გენაცვალე, რომ შენი გულისათვის წყალში ჩავდგები.

— მაშ ეს ბოთლი ჩაიტანე სარდაფში.

შავი ჭარბა

მართალი გითხრათ, გამეხარდა, რომ ასეთი კულტურული რევოლუცია არა ჩემი ჯიბის, არამედ სახელმწიფოს ხარჯზე მოხდა. ჩემს კაბინეტში სწრაფად განაწილდა ადგილები: ტელეეკრანის პირდაპირ დადგმული «ოტომანკა» მეუღლემ და ბავშვებმა დაიკავეს. მარცხნივ და მარჯვნივ ჩემი სიღვარი და ჩემი ცოლის დედამთილი ჩამოსხდნენ, სიამრსა და ცოლისდას ზედ ეკრანის წინ მივუჩინე ადგილები (ჩემდა იღბლად ორივე ბეცია). მე ფეხზე ვიდექი, როგორც შინაური და აგრეთვე ტელემიმღების მარეგულირებელი.

ასე გასტანა თითქმის ორ კვირას და რაკი რომელიღაც თანამშრომელმა მიჩივლა, რომ «შესანიშნავი ბინა მაქვს, მაგრამ ოჯახი მაინც დაწესებულებაში ჩავასახლებ, ბრძანებით ავკრძალე დაწესებულებაში შინაურთა მოსვლა.

ჩემს კაბინეტში კვლავ დგას ფართო და მალაქერანიაანი «ტემბ-3». მის ეკრანს შავი ფარდა აქვს ჩამოფარებული, რომ სინათლემ არ დააზიანოს. მე სამსახურს ექვს საათზე ვამთავრებ, ტელეგადაცემა შეიდ საათზე იწყება და დაწესებულების დარაჯი ყოველკვირა გულმოდგინედ წმენდს ტელემიმღებუ დადებულ მტვერს.

სიამოვნებით გადავიხდიდი დაწესებულების სასარგებლოდ ამ ტელემიმღების ფასს საკუთარი ჯიბიდან და «ტემბ-3»-ს შინ გადავიტანდი, მაგრამ არ შეიძლება, ინვენტარია, ინვენტარის გაყიდვა კი კანონით აკრძალულია.

ვინ იცის, რამდენი დაწესებულების დირექტორია ჩემს დღეში და დღემდე არავის მოსვლია აზრად იმის გამოკვევა, თუ ვინ ჩამოაფარა შავი ფარდა ძნელად საშოვნელ ამდენ ტელეეკრანს.

ბ. ივანიშვილი

დაწყნარდი, კეკელიძე!

ექვთიმემ თქვა: — ეს უღვაში მომპარსეთ, თუ სანდრო სიხარულიძეს საციხოდ არ გავუხადო საქმეო!

ეს დღე იყო და ეს დღე, აბორგადა ექვთიმე ვაშაყმაძე.

...არიქა, უშველეთ სახელმწიფო ქონებას, შეჭამა, გაანადგურა სანდროთა ვეშაპმა... დიიდიუ, ამას რას ხედავს ჩემი დასაფსები თვალები! რამხელა სახლი ოუშენებია, მიშველეთ, თვარა გასკდა ბოლმისაგან გული... შრომობს? შრომობს კი არა, იპარავს, თუ არა, მე რომ პატიოსანი კაცი ვარ, რეიზა არ ვცხოვრობ ასე...

ბორგავს და არ ისვენებს ექვთიმე ვაშაყმაძე. თეთრად თენდება ღამეები. რაც სანდრო სიხარულიძე ამოიჩემა ექვთიმემ, მამლის არც ერთი ყვილი არ გამოპარვია, ზის და წერს: «...ჰე, ბატონო, გვიშველეთ», «ჰე, ბატონო, დაგვეხმარეთ...» და...

მოდიან სხვადასხვა ინსტანციებიდან; კითხულობენ, ამოწმებენ, შრომობენ, — იკარგება უამრავი ქალაქი, მელანი და, რაც მთავარია, ძვირფასი დრო. რისთვის?

არ ჯობია, ჩემო ექვთიმე, რაც ამ წერაზე დროს და ენერჯიას ხარჯავ, საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმეს მოახმარო!

გეყოფა, ექვთიმე, დაწყნარდი, შე კაცო, თორემ...

რ. ქვიციანიძე

მაშ ასე, იცნობდეთ, თედორე დანელია, კაცი მოჭირნახულე და პატიოსანი (საკუთარი თავის ეს დახასიათება თვით თედორეს ეკუთვნის, რომელიც შეგიძლიათ მის საჩივრებში ამოიკითხოთ).

ვერ ვიტყვით, რამ ააღებინა კალამი თედორეს, — შინაგანმა იმპულსმა თუ სხვა რაიმე გარეგანმა ფაქტორმა. ერთი რამ ცხადია, იშვიათია კალმოსანი, რომელსაც ამდენი პროდუქცია შეექმნას. სწორედ რომ აფუსუსია, ამ ნაწარმოებებს არ იცნობდეს საზოგადოების ფართო ფენა.

თედორეს ლექსიკონში სიტყვები ორ ნაწილად განიყოფებიან: საქებარი და სალანძღავი. პირველი თვით თედორეს ესალმუნება, როგორც უმწიკვლო პიროვნებას და, თუ თავის ქება კიტრად არა ღირს, ამას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, რომ საქებარ სიტყვებს თედორე ისევ თავის საქებრად ხმარობს და საქებარი საქებარსაც გამონახავს, მაგრამ საოცარი ისაა, რომ მის ლექსიკონში სალანძღავი სიტყვების ფორმა და შინაარსი თვითონ თედორეს ხასიათის შინაარსს ამჟღავნებს.

ავსა კაცსა ავი სიტყვაო, — ამის არ იყოს, ჩაიკითხეთ მისი სალანძღავი სიტყვები (ყველა ვერ ამოგწერეთ) და, თუ არ შეძრწუნდებით, კიდევ გაგვამტყუნეთ:

«სხვისი შრომის მიმტაცებლები; მეზობელთა ამწიოკებლები; ავაზაკები, თაღლითები, გაიძვერები; სბეკულანტები; საზოგადოებრივი ცხოვრების ჩირქოვანი მუწუკები და მავნე ელემენტები; ხულიგნები, დებოშიორები და საზოგადოებრივი ცხოვრების დეზორგანიზატორები და, წარმოიდგინეთ — სოციალისტური, მშვიდობიანი თანაარსებობის დაუძინებელი მტრები».

თედორესეული სტილი ყველგან დაცულია.

ბოლოს და ბოლოს, ვის ამკობს თედორე? ლარსის შესახვევი № 5-ში მცხოვრებ საკუთარ მეზობლებს. ალბათ თედორეს დაავიწყდა, რომ ახლო მეზობელი შორეულ ნათესავს ჯობია.

ნეტავ რა გაუფუჭეს მეზობლებმა თედორეს? ბაღი გაუფუჭეს. მოდი ვნახოთ ბაღი ვისია ბაღი? ვიდრე ამას ვიკითხავდეთ, ჯერ ეს ვიკითხოთ — ვისია ეზო? თანაბრად ყველა მეზობლისა. ამ ეზოშია ბაღიც. მაშ ბაღი რად არის მარტო თედორესი? სახალხო სასამართლოსაც დაეხება ეს კითხვა და პასუხიც გასცა, — ყველას ეკუთვნისო. თედორეს კი ამის შემდეგაც ეს აზრი დაეხება და საჩივარში აღნიშნა:

«დაკვირვებულ ადამიანს აქ ვერ გამოეპარება ბევრი ისეთი სიმახინჯე და ჩვენი დროის ზოგ ადამიანთა ბოროტი მისწრაფებანი, რომელიც ბლალავს საბჭოთა ადამიანების პატიოსან შრომისადმი მისწრაფებას, ძირს უთხრის ჩვენი ცხოვრების წინსვლას და რესტავრაციისაკენ ექაჩება ძველი, დახავსებული, ოქტომბრის რევოლუციის მიერ განადგურებული, კაციჭამია ფეოდალური კლასის იდეოლოგიას».

საგულდაგულოდ დაწერილ 14-გვერდიან განცხადების ამ პატარა ამონაწერში თედორე თავის გულისწყრომას გვამცნობს: მეზობლებმა ბაღის საერთო სარგებლობაში გადაცემა მოითხოვესო.

მოვიშველით ლოგიკა.

ვინ არის «კაციჭამია ფეოდალური კლასის იდეოლოგიის» მატარებელი?

ვისაც მუდამ დასაკუთრებაზე უჭირავს თვალი.

ვინ არის ფეოდალური იდეოლოგიის მატარებელი?

ვისაც საკუთარი საზოგადოე მიაჩნია?!

ვინ ცდილობს ბაღის დასაკუთრებას?

თედორე.

მაშასადამე — ფეოდალი თედორეა.

და მაინც თედორე ყველა მეზობელს ფეოდალს უწოდებს. ვერ უშველა ვერც სახ. სასამართლოს გადაწყვეტილებამ, ვერც უმაღლესი სასამართლოს დადგენილებამ... და ბაღი დღესაც

დაკეტილია. თედორე კი წერს განცხადებებს, საჩივრებს, მიმართულიცაა ში, პროკურატურაში, სასამართლოში, რაიონისა და ქალაქის საბჭოში და იქ, სადაც კი შეიძლება საჩივრის მიტანა, ზემოაღნიშნული ლექსიკონით ამკობს მეზობლებს და უმტკიცებს ყველას, რომ არის კრავი, მის გარშემო მგლები შემოკრებილან და მეზობელთა მისამართით გაჰკვივს: Homo homini lupus est და იქვე თარგმნის: კაცი კაცისთვის მგელიაო.

მართლა ასეთი კრავია თედორე?

რა მოგახსენოთ. «მე...მე...» — მარტო ბაღზე არ უთქვამს. ჯერ კიდევ სახლმმართველობაში ბულალტრად მუშაობისას აკრიფა ბინის ქირა სამი ათასი მანეთი და «მე»-ო თქვა. ამისათვის სასამართლომ დასაჯა, მაგრამ ფული აგერ უკვე 7 წელია უბრუნდება სახელმწიფოს სასამართლოს აღმასრულებლის მეშვეობით და ჯერაც არ დაბრუნებულა. მერე იყო და, ანა მასხარაშვილს გაემასხრა: შენი 2950 მანეთიც «მე»-ო.

მაშ არ არის კრავი?! მაგრამ აქ თედორემ მედიის ოინი იხმარა: ეს ფული ანამ მე კი არა, თავის ქმარს გიორგი ბახტაძეს ასესხა. მართალია, სესხების ხელწერილი მე მივეცი, მაგრამ ეს იმიტომ მოხდა, რომ ცოლი ქმარს ფულის სესხებას არ ენდობოდაო. — ამიტომო, — წერს თედორე საჩივარში, «თაღლითმა ბახტაძემ ჩაიდინა უსინდისობა, ეს ფულები ცოლს არ მისცა და მეც ვერაგულად მომატყუაო».

თედორემ ფული მიითვისა — ბახტაძე თაღლითია და ვერავი. ეს თედორეს ლოგიკაა და მისი დარღვევა სასამართლოს გარდა სხვამ ვერავინ შესძლო.

ასე «ვერაგულად» ატყუებენ ჩვენს თედორეს და ამიტომ ეფიცება თავის საჩივრებში ყველას: Homo homini lupus est. ის კი არ იცის, რომ ქართველობას ამის საწინააღმდეგოდ უთქვამს:

კაცი კაცის წამალია!

გ. პატარაძე

გ. ჯამბაქური

ნახ. დ. ერისთავისა



— მამა, რა შეგია იმ კაცს, ყველას რომ სასტვენით აჩერებს?

— სახელი არ ვიცო, შვილო, ისე კი, ვისაც რა უნდა, იმას ეძახის!

საბავშვო
განათლებელი



პიუნის ქოჩა

ი. აბაშიძე
პუუნის სიმაღლე ვარ კაცი კიხს ვერ მოხადვას, მაგრამ ისე თქვენ ხარეთ, მე სიმაღლე გამოშობა, ამას წინათ ბილიისიდან, შეუბრძნის დავაღვებთ, ახერხეთა დავინახე ერთი თვალს გადავღებთ.

ბ. ბარსუაძე
ამს ანატოლი, წებდა სუბა მიღე შრომის ნახებდა, დღეობ და პატარა, გრავალე კაკალ ვულე, კრცხის რედან ამოსელი გადავფეი ანავადლე.

ბ. გომიშვილი
ქვენივე ბერი მხარე შიანი, სახელმწიფო ზელი და სობოთი, მანე ვეღაზე ლეში არის ბენი ლტონდი, თუმა მე მაინე არ შედარება, ბერეკერ ეთიე კარბონ დამე, კოპიაშილი არ მტხმარება, მესმანტე, უთხარი რამე.

ბ. აბაშიძე
ქართლის ცხოვრება არ ჰქონდა მშვიდი, მაგრამ შექედეთ, როგორ იწათ, კორეასლიანთა დროშას თუ შლიდით, დეპოიანთა დროშას თუ შლიდით, კანაპიანთა დროშას თუ შლიდით, განსაღული დროშას გარეგოლიანთა.

ი. გრიშვილი
ვანი დრო-კამი უქმად დაკარგე, აკარგი რთობის ერთადლიანი, ჩემი ცხოვრება ლეშიო დავარე და, აა, სახალო გავხდი მუხანი და, ამან ისე ამავტყველა, ვარდიე ჰევისი და დაქვის სიოცა, ტალეხს და ლეცხეს შეწერე ყველა - საბაბო და საიციოც.

ანა კალნაძე
— რატომ არ დასველი, თუ წვიმა რუ-ხელი.

თქვე, ტიამარაი! ამაღამ იწვიებს, ტენება ქუბილი, თუ ზეაღე დარია? თქვე, ტიამარაი, ნისლი თუ ჩამოწევა.

გ. რიგორი გაიფენებ?
— ამანდის ბიური კი არ ვარ, მე ქვე წელი და გაიგე.

პუტი განა ყველა,
ფინე ღვინის სვამს და კალას სწევს, ჩემს სტრატეგებზე მავადლო ოტრი ძეგს, განა კალა ძეგს.

ბ. ლაბინძე
ლექსებზე ვადარებო აიფიქტე და გიგანთი, კამათელ ხარ ნაროლი და მავზე ზიხარ თბილისში, ზეგარდის ტალახს რომ ნატრობ,

ბ. ლომიძე
ნაქარბტერინატრეტალი, ნაქარბტლისხვანანატრეტი, გაქარბტლესქვანანატრეტი, გაქარბტლესქვანანატრეტი, სანოცი წილას შეხსრული, თვალმარბტრეტირბტრეტი, ერთი ამდენს კოფე ვოცხებულს, არ დიდარებ, დიდო.

ბ. ბაბაიანიძე
მე მისწეს მე ვარ, მიწაზე დიდვარ,

რა მიხდა, ბიო, რა იყო, თითქმის სახელი ტალახი სახურთალაოზე არ იყოს.

ბ. ბაბაიანიძე
ბანდახან გზივარ, ხანდახან ვწევი, და თუკი საღებე იმისივე წილის პორტის ნახავი, იყოფეთ, მე ვარ.

ბ. ნოსტალი
მე ერთი პატარა პოეტე ვახლავარი, ტურისტულ საზღურზე ვარ ვადარებო, ილ-ში გავიზარე, ტუ-ში დავვაჯახდი, ოღღესე სურტი და ვერგადლეული მე ყველა ქვეყანას ვეზღებო ამ ქვეყნად სოფლოე ბიგუნე შრომლის დამევე და არ ვარ ჩემსეთი პეტის წახველი: თბილისში ჩამოსვლა როგორღა გავტედე!

ბ. ჩიბრაძე
შურის სახამაიო სწიფეთა ვიხანია და სხვას მამლებებს წვეული რომა,

სანდახან გზივარ, ხანდახან ვწევი, და თუკი საღებე იმისივე წილის პორტის ნახავი, იყოფეთ, მე ვარ.

ბ. ბაბაიანიძე
ამაგუნე სასტუმრო ინტრისტის

შეხანან მავაგარიანს გატკობინებთ მარტოვლად, რაც მართალია, მართალია, გაზავებულია, მერცხელი აქვლიანია.

ბ. ღვინძე
ამანავებო! როგორ შეიძლება ეს, რომ პიუნის ღვინძე, როცა პოეტები ასე ხშირია, ზოგი სრულდები აბ გრძობს პასისსებე-ლობას,

სად არის ეგეთი, სადა არის ილია! მაგრამ რას იზამ, სუფიე აწიოია, და აღიშვლის პოეტების ეს იდილია!

სანდახან გზივარ, ხანდახან ვწევი, და თუკი საღებე იმისივე წილის პორტის ნახავი, იყოფეთ, მე ვარ.

ბ. ბაბაიანიძე
ამაგუნე სასტუმრო ინტრისტის

ამ კვირას მზიანი დღე გათენდა, სწორედ ამიტომ იყო, რომ ჩვენი ქალაქის მოსახლეობა დიდი რაოდენობით მიაწყდა საკონტინენტაშორისო ხომალდების აეროდრომს. ხომალდის მძღოლს მზია მთვარაძეს აღივლება ეტყობოდა, იგი ჩქარობდა და მგზავრებსაც აჩქარებდა. როდესაც ჩასხდომა დამთავრდა, მზიამ მაშინვე გააქანა ხომალდი, მაგრამ... მარსის ნაცვლად მთვარისაკენ აიღო გეზი. როგორც შემდეგ თვით მთვარაძემ აღიარა, ეს შეცდომა ჩადენილი იყო შეგნებულად, რადგან მას პირადი საქმე ჰქონია მთვარეზე. ამის გამო ხომალდმა დანიშნულ ადგილს მთელი ოცი სექუნდის დაგვიანებით მიაღწია.

მზია მთვარაძემ ბოდიში მოიხდა მგზავრების წინაშე და თქვა, რომ მსგავსი შემთხვევა აღარ განმეორდება.

— ჩვენ გვჯერა მზიასი — განაცხადეს მგზავრებმა.

ქანთუბიძან

საინტერესო ექსკურსია

სამ ოქტომბერს, თბილისის ოქტომბრის სახელობის რაიონის მშრომელებმა მოაწყვეს ექსკურსია სიძველეთა მუზეუმში.

დიდი ინტერესი გამოიწვია „ტუ-104“ ტიპის თვითმფრინავმა, ატომურმა ყინულმჭრელმა და პირველმა საკონტინენტაშორისო ხომალდმა.

დამთვალიერებლებმა გულითადი მადლობა გადაუხადეს კიბურნიტიკულ მანქანას, რომელიც დაუზარებლად აძლევდა პასუხებს მშრომელთა შეკითხვებს.

როდის უნდა მოვლოს ბოლო!

სულ რამდენიმე ნაბიჯია დედამიწასა და მთვარეს შორის, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მათ შორის ცა და დედამიწა იყოს. განა სამარცხენო არ არის ის ფაქტი, რომ მთვარეზე თავსაყრელად აქვთ აბანოს ღრუბელი, ჩვენთან კი წამლადაც ვერ იშთენით, ბოლოს და ბოლოს, ასეთი წვრილმანისათვის ყოველდღე ხომ არ ივლი მთვარეზე?

კიდევ და კიდევ კვითხულობთ დაკინებით: როდის უნდა მოვლოს ბო-

ლო ასეთ გულგრილობას?! პასუხს, ალბათ, სათანადო ორგანიზმმა გაგვცემენ.

ბრცხვენოდით, აპოლონ!

ახალი წლის დამე მხიარულებამ დაიპყრო. განსაკუთრებით სადღესასწაულოდ გამოიყურებოდა ბათუმის რაიონის შავი ზღვის ფსკერი, სადაც უამრავმა ახალგაზრდამ მოიყარა თავი, და ზოგიერთს ძალიან გამოუმეგვად ეჭირა თავი, მაგალითად, აპოლონ № - ს, იგი პაპიროსს ეწოდება იქ, სადაც არ შეიძლება, შეურაცხყოფას აყენებდა ქალიშვილებს, ერთ-ერთმა ქალიშვილმა წესრიგისაკენ მოუწოდა და უთხრა — ხელეზით ნუ ბანაობო, მან კი ეს დარჩება ყურად არ იღო.

აპოლონის ცხოვრებაში პირველი როლია ასეთი საქციელი, მაგრამ რატომღაც ყოველთვის დაუსჯელი რჩებოდა. ჩვენ გვჯერა, რომ ამჯერად იგი მშრალი ვეღარ ამოვა შავი ზღვის ფსკერდან.

პროცედურები

ბავშვის განსჯა

— დედა, მე რომ დიდი გავიზრდები, ფეხბურთში მსაჯად ვითამაშებ.

— მსაჯად რატომ, შვილო?

— რატომ და... ამას წინათ მამამ, სტადიონიდან რომ მოვიდა, თქვა, მსაჯმა გაიტანა ის ერთი ბურთი, თორემ ოცი კაცი ტყუილად დარბოდა მოედანზეო. თანაც მსაჯს თურმე არავინ აჯარიმებს ცუდი თამაშისათვის.


ყვის მეგობარი

ვიდაც ახალგაზრდა შებერებულ ხეზე თავის ინიციალებს ჩიჩქნიდა ჯიბის დანით. მას მოუსწრო გზად გამგლემა ტყის მეგობარმა და, სიტყვით რომ ვერაფერი შეასმინა, ამოგლიჯა იქვე ახლოს ახალდარგული ნერგი და აღშფოთებული საცემად გამოეკიდა ჩვენი მწვანე მეგობრის გამანადგურებელს.

ა. ბასილაია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ რამდენიმე სქელტანიანი წიგნი დაბეჭდა ბელურასნაირი ფრთხვნების შესახებ.

ნახ. ა. კანდელაკისა



— ჩვენზე წიგნების წერას გადაწყვა ხალხი და კიდევ იტყვიან ჩიტი ბლდვანად არა ღირსო?

ბუნების შეკითხვა

— უკვე გითხარით, ადგილი არა მაქვს-მეთქი.

— იცით, ისეთი არავინა მყავს, რომ დამეხმაროს, მარტო ჩემი უნარის იმედი მაქვს, თუ მიმიღებთ, გავამართლებ თქვენს მზრუნველობას.

— ყმაწვილო, მე თქვენს ნიჭსა და უნარში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ თავისუფალი ადგილი არა მაქვს.

— ბიძაჩემს, კაპიტონ კაპანაძეს უნდოდა თქვენი შეწყობა...

— ეგ ვინაა?

— როგორ, არ იცნობთ? ტრესტის მმართველი.

— კაპიტონ პეტროვიჩი ბიძათქვენია? — წამოიძახა აფრასიონმა. ისიც უნდოდა ეთქვა, აქამდე ეს რად არ მითხარო, მაგრამ არჩია უცებ არ მოეხდინა სრული კაპიტულაცია.

— ძალიან სასიამოვნოა, რომ კაპიტონ პეტროვიჩი ბიძათქვენი ყოფილა. ამ დღეებში რაიმეს მოგიხერხებთ, გამოიარეთ.

— ეპ, როგორ მინდოდა, თქვენს ფეხბურთელთა გუნდს, ბოლოს და ბოლოს, კარგი მეცხრე ნომერი ღირსებოდა!

— ფეხბურთელთა გუნდი რა შუაშია?

— ცენტრალური თავდამსხმელი ვარ.

— მართლა? მერე და ამდენ ხანს სად იყავი, შე კაცო, ვერ მითხარი?

აფრასიონმა ზარის ღილს თითი დააჭირა. შემოვიდა მდივანი. ღირეტიტორმა ქალაღლი და ფანქარი მიაწოდა და უკარნახა:

— ბრძანება ნომერ... დაინიშნოს...

ა. კუხიანიძე

ხედი

ქართული
ბავშვობა



ჩემი პირველი სიყვარული


სიყვარული აქვს ყველას, ისე ნიას.
— სიყვარული არ იცი, —
უნა შოლცად მომიძინა.

— რასა ბრძანებთ, გუნაცვალე,
მე არ ვიცი სიყვარული?!
აბა როგორ შევიყვარო
ღალი, ლია, ნუნე, ლილი!

ნ. ბეჟუარაძე

მიმდინარე წლის პირველი აპრილიდან დასავლეთ გერმანიის უდიდეს ქალაქ ჰამბურგში მასწავლებლებს მიეცათ მოსწავლეთა ცემა-ტყეპის უფლება.

(გაზეთებიდან)



ნახ. ა. კანდელაკისა

— ყოველდღე დარტყმას გიმატებ და მიმატება
მაინც ვერ ისწავლეს!

გთხოვთ მიღებული ზომების შესახებ აცნობოთ რედაქციას და მომჩივანს».

მილიციის კანცელარიაში შეიქმნა «ხატულას საქმე». მასში აკერებდნენ კვანტილაძის საჩივრებს, მომართვებს უფროსებიდან, რედაქციებიდან, თვით «რაციონოველდამზადების» კანტორიდანაც და ამა და იმ და იმა და ამ ორგანიზაციებიდან.

მილიციის განყოფილების კარები წარამარა იღებოდა, შემოდოდნენ კურიერები, ფოსტალიონები, მოქონდათ პაკეტები, რომლებშიც დაქინებით მოითხოვდნენ, მილიციის მუშაკებს თავი ემტვრიათ და, რადაც უნდა დასჯდომოდან, მოენახათ ფაფუკებუწვევა ხატულა.

მილიციის განყოფილების უფროსს დაუდგა საზარი ღამეები: ეზმანებოდა, თითქოს ხატულა სახურავიდან სახურავზე ხტის, თან მამაცი მილიციელები მისდევნებოდნენ ხტუნვა-ხტუნვით.

აი, გააკეთა ვეფხის ნახტომი და ეშველა: კულში სწვდა ფაფუკებუწვევა ხატულას... მაგრამ, დახეთ უბედურებას, ჩაინგრა სახურავი და გამოეღვიძა ოფლში გაღვირულს...

დილით მილიციის განყოფილებას კომისია დაესხა თავს. გულდასმით შეისწავლეს საქმე. კომისიის თავმჯდომარემ მოადგილეს გადახედა, მოადგილემ — უფროსს, კომისიის წევრებმა — ერთი მეორეს...

— ამ ოთახში ღუმელი არ არის?

— აგერ, ამხანაგო!

«ხატულას» ნახევარფუთიან «საქმეს» ცეცხლში შეუძახეს.

გავიდა დღე:

აწკრილდა ტელეფონი:

— ალო, მე ხატულას შესახებ ვრეკავ.

— თქვენი ხატულა ხვად კატებთან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე ჩხუბისათვის თხუთმეტი დღით პატიმრობაშია აყვანილი...

ვ. ბიტოვი

ტელეფონმა გაიწკრილა. მილიციის განყოფილების უფროსმა აიღო ყურმილი:

— ალო, ალო! ვინ დაიკარგა? ხატულა? გვარი?.. რაო? დედალი კატა? თქვენი კატა ვირთხებმა შეჭამეს, ქალბატონო!

გავიდა თხუთმეტი წუთი. — თქვენთან ვილაცა ქალს უნდა შემოსვლა, ასე ამბობს, ვილაცის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდებო, — მოახსენა მდივანმა.

— შემოუშვით. — მე კვანტილაძე ვახლავართ, — სხაპასუხებით ამბობს გადაფითრებული კლიენტი, — ხატულას გამო გეახელით...

— ვინაა ხატულა? — ჩემი ფისო, ფისუნია, ფისუქლა...

— ქალბატონო, ხომ ხედავთ, რომ საქმეებში ყელამდე ვარ ჩაფლული, რა დროს კატაა...

— როგორ თუ...

— მოგცლიათ...

— მე თქვენ გიჩვენებთ, ვის მოსცლია, მე კვანტილაძე არ ვყოფილვარ, თუ არ გიჩვენებთ ვის მოსცლია... მე თქვენ გიჩვენებთ... გიჩვენებთ... მაშ მე სულელი ვყოფილვარ, იდიოტი ვყოფილვარ, რეციდივისტი ვყოფილვარ...

გადის რამდენიმე დღე.

მილიციის განყოფილების უფროსს ოფიციალურ ქალაღზე ხაზგასმით სწერენ:

«გთხოვთ ამ საქმის გამო მიიღოთ სასწრაფო ზომები».

გაცეცხლებული მილიციის უფროსი ურეკავს უფროსს:

— ალო, ალო, ეს რა გამომიგზავნებთ. ამხანაგო მცონარაძე, ქურდებსა და სხულებს ვსდიოთ, თუ კატებსა და კატის კნუტებს?..

— როგორ, — ხმას უმაღლებს მცონარაძე. — თქვენ გინდათ გულგრილად მოეპყრათ მშრომელთა წერილებს?

მილიციის უფროსმა დააგდო თუ არა ყურმილი, მდივანმა ქალმა წერილი გადასცა:

«გაზეთ «ყოფაცნობების» რედაქცია გიგზავნით მოქალაქე კვანტილაძის საჩივარს.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე.

საქ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქტორი ნ. შველიძე.

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Няньги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 3-76-69, ხერთო განყოფილების — 3-10-49.

გამომც. № 11. ხელმოწ. დასაბ. 27/V-1960 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნახ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებთ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეკ. № 907 უგ. 02854. ტირ. 40.000

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს V სესიაზე ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ილაპარაკა ამერიკის სამხედრო წრეების პროვოკაციული მოქმედების შესახებ. მან აღნიშნა, რომ ჩვენი სამშობლოს მამაცმა დამცველებმა ჩამოაგდეს ამერიკის მზვერავი თვითმფრინავი. პენტაგონელი ავანტურისტების მიერ მფრინავი მომარაგებული იყო სხვადასხვა „ნივთებით“. „საკუთარი საათის გარდა, მას გზაში მისცეს კიდევ ორი ოქროს საათი და შვიდი ქალის ოქროს ბეჭედი. რად უნდოდა ყველაფერი ეს ატმოსფეროს ზედა შრეებში? ან იქნებ მფრინავი უნდა აფრენილიყო უფრო მაღლა—მარსზე და იქ აპირებდა შეეცდინა მარსელი ქალები“.



ხატულა

ერთიანი
ბიბლიოთეკა



ჩაქვნი ვიცი სიყვარული

სიყვარული აქვს სწორი,
როგორც ყველას, ისე ნიას.
— სიყვარული არ იცის,
— უნა შოლცად მომიძინა.

— რასა შრბანუბთ, გუნაცვალუ,
მე არ ვიცი სიყვარული?!
აშა როგორ შვიყვარუ
დალი, ლია, ნუნუ, ლილი!

ნ. ბეჭუნიძე

მიმდინარე წლის პირველი აპრილიდან დასავლეთ გერ-
მანიის უდიდეს ქალაქ ჰამბურგში მასწავლებლებს
მიეცათ მოსწავლეთა ცემა-ტყეპის უფლება.

(გაზეთებიდან)

ტელეფონმა გაიწვიალა.
მილიციის განყოფილების უფ-
როსმა აიღო ყურმილი:

— ალო, ალო! ვინ დაიკარგა?
ხატულა? გვარი?... რაო? დედალი
კატა? თქვენი კატა ვირთხებმა შე-
ჭამეს, ქალბატონო!

გავიდა თხუთმეტი წუთი.
— თქვენთან ვიდაცა ქალს უნდა
შემოსვლა, ასე ამბობს, ვიდაცის სიკ-
ვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდე-
ბაო, — მოახსენა მდივანმა.

— შემოუშვით.
— მე კვანტილაძე გახლავართ, —
სხაპასხუბით ამბობს გადაფით-
რებული კლიენტი, — ხატულას გა-
მო გეახელით...

— ვინაა ხატულა?
— ჩემი ფისო, ფისუნია, ფისუ-
კელა...

— ქალბატონო, ხომ ხედავთ, რომ
საქმეებში ყელამდე ვარ ჩაფლუ-
ლი, რა დროს კატაა...

— როგორ თუ...
— მოგვლიათ...

— მე თქვენ გიჩვენებთ, ვის მოს-
ცლია, მე კვანტილაძე არ ვყოფილ-
ვარ, თუ არ გიჩვენებთ ვის მოს-
ცლია... მე თქვენ გიჩვენებთ... გი-
ჩვენებთ... მაშ მე სულელი ვყოფილ-
ვარ, იდიოტი ვყოფილვარ, რე-
ციდივისტი ვყოფილვარ...

გადის რამდენიმე დღე.
მილიციის განყოფილების უფ-
როსმა ოფიციალურ ქალაქზე
ხაზგასმით სწერენ:

«გთხოვთ ამ საქმის გამო მიი-
ღოთ სასწრაფო ზომები».

გაცეცხლებული მილიციის უფრო-
სი ურეკავს უფროსს:

— ალო, ალო, ეს რა გამომიგ-
ზანეთ. ამხანაგო მცონარაძე, ქურ-
დებსა და ხულიგნებს ვსდიოთ, თუ
კატებსა და კატის კნუტებს?..

— როგორ, — ხმას უმაღლებს
მცონარაძე. — თქვენ გინდათ გულ-
გრილად მოგებრათ მშრომელთა
წერილებს?

მილიციის უფროსმა დააგდო თუ
არა ყურმილი, მდივანმა ქალმა
წერილი გადასცა:

«გაზეთ «ყოფაცხოვრების» რე-
დაქცია გიგზავნით მოქალაქე კვან-
ტილაძის საჩივარს.

გთხოვთ მიღებული ზომების შე-
სახებ აცნობოთ რედაქციას და
მომჩივანს».

მილიციის კანცელარიაში შეიქმნა
«ხატულას საქმე». მასში აკერებ-
დნენ კვანტილაძის საჩივრებს,
მომართვებს უფროსებიდან, რედაქ-
ციებიდან, თვით «რაიცხოველდამ-
ზადების» კანტორიდანაც და ამა
და იმ და იმა და ამ ორგანიზა-
ციებიდან.

მილიციის განყოფილების კარები
წარამარა იღებოდა, შემოდინდნენ
კურიერები, ფოსტალიონები, მოპ-
ქონდათ პაკეტები, რომლებშიც და-
ყინებით მოითხოვდნენ, მილიციის
მუშაკებს თავი ემტვრიათ და, რა-
დაც უნდა დასჯდომოდათ, მოენახათ
ფაფუკბეწვება ხატულა.

მილიციის განყოფილების უფ-
როსს დაუდგა საზარრი ღამეები:
ეზმანებოდა, თითქოს ხატულა სა-
ხურავიდან სახურავზე ხტის, თან
მამაცი მილიციელები მისდევენ
ხტუნვა-ხტუნვით.

აი, გააკეთა ვეფხის ნახტომი და
ეშველა: კუდში სწვდა ფაფუკბეწ-
ვება ხატულას... მაგრამ, დახეთ
უბედურებას, ჩაინგრა სახურავი
და გამოეღვიძა ოფლში გაღვა-
რულს...

დილით მილიციის განყოფილე-
ბას კომისია დაესხა თავს. გულ-
დასმით შეისწავლეს საქმე. კომი-
სიის თავმჯდომარემ მოადგილეს
გადახედა, მოადგილემ — უფროსს,
კომისიის წევრებმა — ერთი მეო-
რეს...

— ამ ოთახში ღუმელი არ არის?
— აგერ, ამხანაგო!


«ხატულას» ნახევარფუთიან «სა-
ქმეს» ცეცხლში შეუძახეს.

გავიდა დღე.
აწკრილდა ტელეფონი:

— ალო, მე ხატულას შესახებ
ვრეკავ.

— თქვენი ხატულა ხვად კატებ-
თან საზოგადოებრივი თავშეყრის
ადგილზე ჩხუბისათვის თხუთმეტი
დღით პატიმრობაშია აყვანილი...

ნ. ბიტოვი



ნან. ა. კანდელაკისა

— ყოველდღე დარტყმას გიმატებ და მიმატება
მაინც ვერ ისწავლეთ!

რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე,
ბ. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, თ. ჯელიძე.

საქ. კ. ცენტრალური
კომიტეტის
გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ყურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.
რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 3-76-69, ხაერთო განყოფილების — 3-10-49.

გამომც. № 11. ხელმოწ. დასაბ. 27/V-1960 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა
რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეკ. № 907 უფ. 02854. ტირ. 40.000